

## განათლების სისტემის როლი თანასწორობის უზრუნველყოფის პროცესში

### ნატო ასათიანი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
დოქტორანტი  
კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
nata.asatiani@tsu.ge

#### აბსტრაქტი:

განათლების სისტემაში თანასწორობის საკითხი ათეული წლებია მკვლევართა ინტერესის სფეროს წარმოადგენს. მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე მათი ოჯახების სოციალური სტატუსი თუ კულტურული კაპიტალი დიდ გავლენას ახდენს. შესაბამისად, ხშირად ისმევა კითხვა, რა უნდა გააკეთოს განათლების სისტემამ, რომ ხელი შეუწყოს ინდივიდუალურად ყველა მოსწავლეს განვითარებაში და სოციალურ კლასებს შორის აღმავალ მიგრაციაში. უფრო ზუსტად კი, რა უნდა გაკეთდეს, რომ ბავშვებმა სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ბარიერები დაძლიონ.

სტატიის მიზანია მიმოვიხილოთ მოსწავლეების თანასწორობის უზრუნველყოფის მსოფლიო პრაქტიკა და რა წინააღმდეგობებს აწყდება მოსწავლე თუ პედაგოგი უთანასწორო გარემოში.

**საკვანძო სიტყვები:** თანასწორობა, განვითარება, მოსწავლეზე ცენტრირებული გარემო, სოციალური კაპიტალი, კულტურული კაპიტალი.

#### შესავალი

შეზღუდული ეკონომიკური და სოციალური რესურსების მქონე ოჯახიდან წამოსულ ბავშვს განსხვავებული საგანმანათლებლო საჭიროებები აქვს, რაც, ხშირად, უხილავი რჩება განათლების სისტემისთვის. ამ ბავშვებს რომ ინდივიდუალურ მიდგომა სჭირდებათ, ამაზე არაერთი მკვლევარი საუბრობს. მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი, მკვლევარი ბარბარა შნაიდერი აღნიშნავს, რომ ბევრი განვითარებული ქვეყნის განათლების სისტემა არაჯეროვნად პასუხობს იმ მოსწავლეების საგანმანათლებლო საჭიროებებს, რომლებიც შეზღუდული სოციალური თუ ეკონომიკური რესურსების მქონე ოჯახებიდან მოდიან (Schneider, 2018).

ოჯახი რომ დიდ როლს ასრულებს ბავშვის კოგნიტური თუ აკადემიური უნარების განვითარებაში და სხვადასხვა რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში ეს არახალია. ამაზე განვითარების ფსიქოლოგებიც ამახვილებენ ყურადღებას. ური ბრონფერბრენერის მიერ ჩამოყალიბებული ბიოეკოლოგიური მოდელი ოჯახის გავლენას წინა პლანზე აყენებს, ისევე, როგორც ლევ ვიგოტსკის სოციო-კულტურული თეორიის თანახმად, ოჯახს და გარემოს დიდი გავლენა აქვს მოზარდის განვითარებაზე. იგივე პოზიციას იზიარებენ ახალგაზრდა მკვლევარებიც. (Woolfolk, 2013) (Kellog, 2021) (Bronfenbrenner, 1979).

კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ჯორჯ ფარკაში თავის კვლევებში იმ პრობლემებზე საუბრობს, რასაც ხშირად დაბალი სოციალური კლასის ოჯახის ბავშვი განიცდის: მას შეიძლება ზრდიდეს მარტოხელა მშობელი, ჰქონდეს ნაკლები წვდომა სხვადასხვა რესურსზე, ჰქონდეს დაბალი სასკოლო მზაობა და მშობელთა

ჩართულობის დეფიციტი სასკოლო ცხოვრებაში (Farkas, 2015). მეორე პრობლემა რაც იჩენს ხოლმე ასეთ დროს თავს არის შემდეგი: შეიძლება დედას აქვს კიდევ სურვილი და დროც რომ იყოს ბავშვის გვერდით, მაგრამ არ იცის როგორ ამეცადინოს, არ აქვს თავად საკმარისი განათლება, რაც იწვევს სირცხვილის განცდას. სწორედ ამიტომ, მშობელი ცდილობს ნაკლები შეხება ჰქონდეს მასწავლებელთან და სკოლასთან (Schneider, 2018). ამასთან, არის კვლევები, რომელიც ცხადყოფს, რომ ბავშვების აკადემიური მოსწრება რიგ შემთხვევებში უფრო მეტადაა დამოკიდებული მათ ოჯახებზე, ვიდრე სკოლაზე, რომელშიც ისინი დადიან.

რომ შევაჯამოთ კვლევები, ფაქტი ერთია: მშობლების სოციალური სტატუსი და მათი შვილების საგანმანათლებლო მიღწევები მყარადაა დაკავშირებული ერთმანეთთან.

### **ოჯახი, როგორც კულტურული კაპიტალის განმსაზღვრელი**

მკვლევარმა ჯორჯ ფარკაშმა იკვლია მშობლების პროფესიებისა და განწყობების კავშირი მათი შვილების უნარებსა და ჩვევებთან და საინტერესო დაკვირვება გაგვიზიარა: მან ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს თეორიული პერსპექტივა გამოიყენა და კვლევის დონეზე გვაჩვენა, რომ სოციალური კლასების განსხვავებები გვაძლევს განსხვავებებს აღზრდის სტილშიც, და შესაბამისად, ვიღებთ ბავშვებს განსხვავებული აკადემიური წარმატებით (Farkas, 2015).

განათლების სოციოლოგიის ფუძემდებელი პიერ ბურდიე იკვლევდა იმ უნარებსა და წარმოდგენებს, რასაც ბავშვი ოჯახისგან იღებდა და მას „ჩვენი გონებისა და სხეულის გრძელვადიანი დისპოზიცია“ დაარქვა. სხვანაირად, ამ უნარებს არაფორმალურ “know-how”-ს უწოდებდა (ე.წ. პროცედურული ცოდნა, რასაც მოსწავლე აგროვებს ოჯახში). ამრიგად, მოსწავლის სოციალიზაციის გზა, რომელსაც მას ოჯახი სთავაზობს უდევს საფუძვლად იმ უნარების განვითარებას, რომელსაც მოგვიანებით ეს მოზარდები ამჟღავნებენ და რომლებიც ამავე მოზარდებს გარკვეულ სოციალურ კლასთან მიაკუთვნებს. მკვლევრები შნაიდერი და ფარკაში კი თვლიან, რომ სწორედ ამ ჩვევებსა თუ დისპოზიციებს აფასებენ სკოლაში მასწავლებლები, რასაც მოსწავლეები სასკოლო დავალებების შესრულებისას ამჟღავნებენ. მასწავლებლები პოზიტიურ შეფასებებს აძლევენ იმ ქცევებს, რომლებიც საშუალო კლასისთვისაა უფრო ტიპური, ვიდრე დაბალი კლასის წარმომადგენლებისთვის (Farkas, 2015)(Schneider, 2018).

ამრიგად, ბავშვები სკოლაში საკუთარი სოციალური სტატუსიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული უნარების, დამოკიდებულებების თუ ქცევების იმედად არიან და მასწავლებლები მოსწავლეების შეფასებისას აფასებენ სწორედ მათი სოციალური კლასით განპირობებულ უნარ-ჩვევებს და არა სუფთად მათ კონგინტურ უნარებს. როგორც წესი, მასწავლებლები აფასებენ მოსწავლეების მიერ დემონსტრირებულ სოციალურ უნარებს, როგორებიცაა: „შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა“, „არის ცნობისმოყვარე“, „შეუძლია გუნდურად ამოცანის შესრულება“, „არის მიზანმიმართული და კომპლექსურ დავალებებს ართმევს თავს“. ეს სოციალური უნარ-ჩვევები დიდწილად, სწორედ, სოციალური კლასის გავლენითაა ჩამოყალიბებული (Farkas, 2015).

თუ ჩვენ პროფესორ ფარკაშის კვლევას ჩავუღრმავდებით, იმასაც აღმოვაჩინოთ, რომ მაღალი და საშუალო კლასის ოჯახებიდან წამოსული ბავშვები უფრო კარგ ნიშნებზე ასრულებენ სკოლას, ვიდრე დაბალი სოციალური სტატუსის მქონე ოჯახის შვილები,

რაც, საბოლოო ჯამში, აისახება იმაზე, თუ რა არჩევანს აკეთებს ბავშვი განათლების მიღების თვალსაზრისით - მიდის უმაღლესში, პროფესიულ სასწავლებელში თუ საერთოდაც, ანებებს სწავლას თავს.

ამ დახურულ წრეში ძალიან კარგად ჩანს პიერ ბურდიეს სოციალური რეპროდუქციის პრინციპი: ბავშვები მშობლებისგან იღებენ სოციალურ კლასს და გაცნობიერებული ინტერვენცია თუ არ მოვახდინეთ ამ პროცესში, ბავშვებს გაუჭირდებათ ამ სოციალური რეპროდუქციის გარღვევა და კლასებს შორის მიგრაცია (Goldthorpe, 2007). ამ რეალობის გაანალიზება კი კიდევ უფრო ცხადად გვაჩვენებს, რომ სწორედ განათლების სისტემაა ის მთავარი ინსტიტუცია, რომელიც უნდა ებრძოდეს უთანასწორობას და იყოს ბავშვების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული.

აღსანიშნავია, რომ პიერ ბურდიეს აზრით, ოჯახი არის ის გარემო, რომელშიაც ბავშვის კულტურული კაპიტალი ყალიბდება. შესაბამისად, კულტურული კაპიტალია სწორედ ის, რაც ქმნის სოციალურ ფენებს და კლასებს. ბურდიე მარქსიანულ ხედვას იზიარებდა და კლასობრივ კონფლიქტად სწორედ კულტურულ კაპიტალს ასახელებდა, რომლის წყალობითაც მაღალ კლასს აქვს შესაძლებლობებზე, საზოგადო სიკეთეებზე მეტი წვდომა ვიდრე დაბალი კლასის წარმომადგენლებს. ამრიგად, კულტურული კაპიტალი ეს არის ცოდნის, ქცევების, უნარჩვევების ერთობლიობა და მისი საშუალებით შეგვიძლია ჩვენ სოციალური სტატუსის განმტკიცება და წარმოჩენა (Bourdieu, 1983).

ბურდიე განმარტავდა, რომ თუ რომელ სოციალურ კლასს წარმოადგენს ბავშვი, ეს იმ კულტურული კაპიტალის გავლენითაა განპირობებული, რომელსაც მას ოჯახი ახვედრებს.

თუმცა, განათლების სპეციალისტებისთვის საინტერესო დეტალი შემდეგია: მომდევნო წლებში, როცა მკვლევრებმა კულტურული კაპიტალის კვლევა განაგრძეს, აღმოჩნდა, რომ აღმავალი სოციალური მობილობა ძალიან დიდია და დაბალი კლასის ოჯახებიდან ბავშვები ახერხებენ მაღალ სოციალურ კლასში გადასვლას, და ამ მიგრაციას ისინი სწორედ განათლების, სასკოლო სისტემის ხარჯზე ახერხებენ (Schneider, 2018).

მაგალითად ბრიტანელი სოციოლოგი ჯონ გოლდთორპი განმარტავს, რომ სოციალური კაპიტალი არ არის კლასის მთავარი მსაზღვრელი. მისი დაკვირვებით სრულებით შესაძლებელია აღმავალი მიგრაცია კლასიდან კლასში და ამას, სწორედ, განათლების სისტემა, კონკრეტულად კი სასკოლო განათლება უწყობს ხელს (Goldthorpe, 2007).

გოლდფორპი ამბობდა, რომ მოზარდი უნარებს იძენს არა მხოლოდ ოჯახში, არამედ სკოლაში, თანატოლებთან ურთიერთობით და სოციუმთან ინტეგრაციით, რასაც მთლიანობაში შეუძლია მოზარდს დაეხმაროს სოციალური კლასის გარღვევაში. სწორედ ჯონ გოლდთორპი და ბევრი სხვა მკვლევარიც მიგვითითებს იმაზე, რომ თანასწორობის უზრუნველყოფის მთავარი გასაღებია ყველა მოზარდს ჰქონდეს სწვოდმა განათლებაზე. უფრო ზუსტად კი, სკოლაში შეიქმნას ისეთი კლიმატი, რომელიც მაქსიმალურად იქნება მორგებული ყველა ტიპის ოჯახებიდან მომავალ მოსწავლეებზე (Goldthorpe, 2007).

## რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ რომ ბავშვებმა სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ბარიერები დაძლიონ

სამართლიანი და ფუნქციონალური საზოგადოების შექმნის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა სამართლიანი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფაა. აუცილებელია განათლების სისტემამ გაუსწოროს თვალი უთანასწორობის პრობლემას და ზუსტად ვიცოდეთ, თუ რას ვახვედრებთ სკოლებში სხვადასხვა სოციალური კლასის ოჯახებიდან მოსულ ბავშვებს.

როცა ოჯახების კულტურული კაპიტალი თაობიდან თაობას გადაეცემა, რაც ახალ თაობებს უზღუდავს განათლებაზე წვდომას, სწორედ ამ ტრანსმისიის პროცესში მნიშვნელოვანია დავინახოთ განათლების როლი და განათლების სისტემა დაეხმაროს ბავშვებს სოციალურ კლასებს შორის აღმავალ მიგრაციაში.

სკოლების ადმინისტრაციებმა, მასწავლებლებმა უნდა გაითავისონ ის გარემოება, რომ ბავშვები განსხვავებული ოჯახებიდან მოდიან და ყველას სჭირდება ინდივიდუალური მიდგომა და მათ საჭიროებებზე ორიენტირებული მხარდაჭერა.

ამასთან, აუცილებელია მშობლების პედაგოგიზაციის პროცესის დაწყება, რაც სახელმწიფოს პასუხისმგებლობაა. მშობლებმა როგორც წესი არ იციან როგორ დაუჭირონ მოზარდს მხარი, არ იციან ავტორიტეტული აღზრდის სტილი რას მოიცავს და რით განსხვავდება ის ავტორიტარული თუ ე.წ. უყურადღებო ან ლიბერალური აღზრდის სტილისგან, არ იციან როგორ ასწავლონ და როგორ ეთანამშრომლონ სკოლას (Woolfolk, 2013).

ჯანსაღი კლიმატის ერთ-ერთი კომპონენტია მასწავლებლების მიერ მოსწავლეების შეფასების გადააზრება: მასწავლებლებმა არ უნდა შეაფასონ მოსწავლეები მათი კულტურული კაპიტალის მიხედვით, არ უნდა ჰყავდეთ ე.წ. ფავორიტი მოსწავლეები საშუალო და მაღალი კლასის ოჯახებიდან.

**დაბოლოს, აღნიშვნის ღირსია, რომ** რიგ ქვეყნებში გაუმჯობესებული შედეგები აჩვენა ე.წ. გახანგრძლივებული კლასების პრაქტიკამ. სახელმწიფოს დაფინანსებით სკოლებში იხსნება გახანგრძლივებული კლასები, სადაც ბავშვებს მასალის ათვისებაში და დღის დიდი ნაწილის (სკოლის შემდეგ) პროდუქტიულად გატარებაში ეხმარებიან. ასეთ პროგრამას წარმოადგენს აშშ-ს რიგ სკოლებში მოქმედი პროექტი სახელწოდებით „Knowledge is a Power“, რომლის წყალობითაც წლიდან-წლამდე უმჯობესდება მოსწავლეების წაკითხულის გააზრებისა თუ მათემატიკური უნარები (KIPP, 2022).

რომ შევაჯამოთ, უდაოა რომ ოჯახის სოციალური კლასი აკადემიური უნარების მთავარი დეტერმინანტია, თუმცა გარემოს შეუძლია მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი შეასრულოს ამ პროცესში და შესაბამისად, თუ სკოლებში შევქმნით სამართლიან გარემოს, ეს ხელს შეუწყობს დაბალი სოციალური კლასიდან წამოსულ მოსწავლეებს აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებასა და სოციალურ კლასებს შორის აღმავალ მიგრაციაში.

გამოყენებული ლიტერატურა

Bourdieu, P. (1983). *Forms of Capital: General Sociology, Volume 3: Lectures at the Collège de France*.

Bronfenbrenner, U. (1979). *The Ecology of Human Development*. . Harvard University Press.

Farkas, G. M. (2015). Minorities Are Disproportionately Underrepresented in Special Education: Longitudinal Evidence Across Five Disability Conditions. *Educational Researcher (ER)*, <https://journals.sagepub.com/doi/10.3102/0013189X15591157>.

Goldthorpe, J. H. (2007). *“Cultural capital”: Some critical*. .

Kellog, D. (2021). *L. Vygotsky's Pedological Work*. Singapore: Springer.

KIPP. (2022). *Knowledge is Power Program: A Strong Model for Public Schools*. <https://www.publicschoolreview.com/blog/knowledge-is-power-program-a-strong-model-for-public-schools>.

Schneider, B. (2018). *Handbook of the Sociology of Education in the 21st Century*. Springer.

Woolfolk, A. (2013). *Educational Psychology, 3rd edition*. . Pearson.

---

**Article received 2023-10-02**